



სათავგადასავლო რალი საქართველო სპორტული რეგლამენტი 2023

ყოველი ეტაპის დაწყებამდე 1 საათით ადრე, ეკიპაჟებს sms-ის სახით გაეგზავნებათ საკონტროლო პუნქტების GPS კოორდინატები: გრძედი და განედი. ეკიპაჟები სტარტავენ 3 წუთის ინტერვალით, პირველ დღეს ზრდადი სასტარტო ნომრების თანმიმდევრობით, მომდევნო დღეს უკუთანმიმდევრობით, და ა.შ. მონაწილეებმა უნდა იპოვონ საკონტროლო პუნქტები რაც შეიძლება მოკლე დისტანციის გავლით პუნქტებს შორის, ძირითადად უგზოდ.

დალაშქრული პუნქტების ჩათვლა მოხდება მონაწილეების მიერ მოწოდებული ციფრული ფოტოსურათების საფუძველზე. თითოეული საკონტროლო პუნქტისთვის უნდა ჩაბარდეს ერთი ციფრული ფოტოსურათი. ყოველი ეტაპის დასრულებისთანავე ფოტოსურათები უნდა ჩაბარდეს მთავარ მსაჯს whatsapp-ით.

საკონტროლო პუნქტი დალაშქრულად ჩაითვლება თუ ფოტოზე ერთდროულად ჩანს და ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირებადია ეკიპაჟის ერთ-ერთი სასტარტო ნომერი რომელიც ავტომობილის კარზეა გამოსახული ორგანიზატორების მოთხოვნის შესაბამისად, წერტილის ნომერი და ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი, რომელიც ერთი ხელით ან ფეხით **ხეხა** საკონტროლო პუნქტის ნიშნულს ქვაზე ან ხეზე, ხოლო მეორე ხელით ან ფეხით **ხეხა** მანქანას.

ეკიპაჟებს დასაფინიშებლად ექნებათ გარკვეული დრო. ეტაპის დაწყებისას მსაჯი აცნობებს ეკიპაჟს მისი დაფინიშების ზუსტ დროს. (მაგალითისთვის, თუკი ერთი ეკიპაჟი სტარტავს 07:30-ზე და მისი დაფინიშების დრო არის 19:00, ეკიპაჟი რომელიც დასტარტავს 3 წუთის მერე, ანუ 07:33-ზე მას დასაფინიშებლად ექნება დრო 19:03-ამდე, და ა.შ.)

ყოველი ეტაპის ფინიშზე მოეწყობა სპეციალური სადგომი ერთი შესასვლელით. დაფინიშებისას მონაწილე ეკიპაჟი ვალდებულია შეაჩეროს ავტომობილი ფინიშის სახთან, რომელიც მატერიალიზებულია რალის დროშებით. შტურმანის ავტომობილიდან გადმოსვლისთანავე, მძღოლი აგრძელებს მოძრაობას და აჩერებს ავტომობილს მსაჯის მიერ მითითებულ ადგილზე; შტურმანი კი მიემართება მსაჯისკენ შევსებული გზის ფურცლით; მსაჯი აფიქსირებს ეკიპაჟის ფინიშს, ამოწმებს გზის ფურცელს, ფოტოებს და აჯამებს საჯარიმო ქულებს.

საკვალდებულოა:

- უსაფრთხოების ღვედის შეკვრა, როცა მანქანა გადაადგილდება,
- უსაფრთხოების დისტანციის დაცვა სხვა მონაწილე ეკიპაჟების მანქანებთან მიმართებაში,
- დასახლებულ პუნქტებში გზაზე სიარული,
- მოთხოვნილი სტანდარტის უსაფრთხოების ჩაფხუტის ტარება, როცა მანქანა გადაადგილდება უბითუმო მონაკვეთზე. (მოითხოვება მოტოციკლის ან საავტომობილო უსაფრთხოების ჩაფხუტი. არ დაიშვება ველოსიპედის, სკეიტბორდის, როლიკების, საცხენოსნო, ა.შ... ჩაფხუტები)
- ეკიპაჟის სასტარტო ნომრის ამსახველი სტიკერების მანქანაზე შენარჩუნება რალის დასრულებამდე (უფრთხილდით რაპტორის ტიპის საღებავს),
- რალის ქურთუკის ტარება ეტაპების სტარტიდან ფინიშამდე, როგორც მანქანაში, ასევე მანქანის გარეთ, (არ შეიძლება რალის ქურთუკზე ზემოდან სხვა ქურთუკის თუ ყილეტის ჩაცმა.)
- გზის ფურცელში დროის და კილომეტრაჟის შევსება, როგორც ეტაპების სტარტზე და ფინიშზე, ასევე ყველა საკონტროლო პუნქტთან მისვლისას.

ეკიპაჟებს საჯარიმო ქულები მიეკუთვნება შემდეგ შემთხვევებში:

ზემოჩამოთვლილი საკვალდებულო პუნქტიდან თითოეულის არ დამორჩილება = 50 საჯარიმო ქულა,

გავლილი დისტანცია = 1 საჯარიმო ქულა 1 კილომეტრი,

ფინიშზე დაგვიანება = 1 საჯარიმო ქულა წუთი,

ფინიშზე ნაადრევად მისვლა = 10 საჯარიმო ქულა წუთი,

საკონტროლო პუნქტის გამოტოვება = 100 საჯარიმო ქულა,

სამაშველო დახმარების მოთხოვნა = 500 საჯარიმო ქულა,

ტექნიკური დახმარების მოთხოვნა ეტაპის დასრულებამდე = 500 საჯარიმო ქულა,

გარემოს დაცვის ქარტიის წესების არ დაცვა = 500 საჯარიმო ქულა,

სიჩქარის გადაჭარბება ბითუმთან მონაკვეთზე ერთხელ = 200 საჯარიმო ქულა,

სიჩქარის გადაჭარბება ბითუმთან მონაკვეთზე სამჯერ = დისკვალიფიკაცია,

სხვა ეკიპაჟის უკან მიდევნება 50 კილომეტრზე მეტ მონაკვეთზე = დისკვალიფიკაცია,

ჯიპის ტრეკერის გამოურთება/დეზაქტივაცია = დისკვალიფიკაცია,

ჯალამბრის გამოყენება სამაშველო დახმარების მოთხოვნის გარეშე = დისკვალიფიკაცია,

რომელიმე ეტაპის სტარტზე არ გამოცხადება = დისკვალიფიკაცია,

დაფინიშება 22:00 საათის შემდეგ = დისკვალიფიკაცია.

გამარჯვებულ ეკიპაჟთა გამოვლინება ხდება საჯარიმო ქულების შეკრებით. გამარჯვებულია ის ეკიპაჟი რომელსაც ყველაზე ნაკლები საჯარიმო ქულა აქვს მიკუთვნებული.

გისურვებთ გამარჯვებას!